№ 2100

27/04/2023

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის
- "საქპატენტის" თავმჯდომარეს,
ბატონ სოსო გიორგაძეს

ბატონო სოსო,

როგორც თქვენთვის ცნობილია, „ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტი“ (EUGIPP) 2020 წლის იანვრიდან მიმდინარეობს ევროკავშირის დაფინანსებით. მას ახორციელებს ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO) და მისი ძირითადი ბენეფიციარია სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სისტემის მხარდაჭერას, მათ შორის, სასაქონლო ნიშნების, დიზაინების, საავტორო და მომიჯნავე უფლებების, ასევე, ინტელექტუალური საკუთრების აღსრულების სისტემის სრულყოფას, ევროკავშირის კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან ჰარმონიზებასა და დაახლოებას.

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 4 მაისს გაიმართება ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტის - EUGIPP დასკვნითი ღონისძიება. დასკვნითი ღონისძიების მიზანია პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარდგენა და შედეგების შეჯამება, ასევე, დაინტერესებული მხარეებისთვის ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ახალი რეგიონული ფორმატის პროექტის ძირითადი მიმართულებების გაცნობა. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ EUGIPP-ის პროექტის პარტნიორი უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები საჯარო და კერძო სექტორებიდან. დაგეგმილია, ასევე, პროექტში ჩართული უწყებების წარმომადგენლების გამოსვლებიც.

ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში ჩამოვლენ ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების ინსტიტუციური და თანამშრომლობის მიმართულების დირექტორი სანდრის ლაგანოვსკი, პროექტის ხელმძღვანელი მარტინ მარიანოვი და EUIPO-ს სხვა წარმომადგენლები.

ვიზიტის ფარგლებში, 3 მაისს, 14:00 საათზე, დაგეგმილია EUIPO-ს წარმომადგენლობის სტუმრობა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში და მოსამართლეთა კორპუსისთვის პროექტის ფარგლებში მომზადებული ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული სასამართლო გადაწყვეტილებების კრებულის საზეიმო ვითარებაში გადაცემა. ხოლო 17:00 საათზე - შეხვედრა საქპატენტის მცხეთის ოფისში თავმჯდომარესთან და მოადგილეებთან. 5 მაისს EUIPO-ს წარმომადგენლები ეწვევიან საბაჟოსა და საგადასახადო შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებს თბილისის გაფორმების ეკონომიკურ ზონაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს:

- სტუმრების ტრანსპორტირება დღის წესრიგით გათვალისწინებულ ლოკაციებზე.

3 მაისისთვის:

- საქპატენტის მცხეთის ოფისის პირველი სართულის საკონფერენციოს მოწყობა და საწყობიდან შემდეგი სახის საქონლის გამოყოფა:

1. წყალი;
2. მინერალური წყალი;
3. ბრენდირებული ბლოკნოტი;
4. ბრენდირებული კალამი;
5. ღვინო თეთრი;
6. ღვინო წითელი;
7. ბრენდირებული ღვინის ჩასადები ჩანთა;
8. A4 ზომის ბრენდირებული ჩანთა;

- მარნის და მუზეუმის მომზადება დათვალიერებისთვის;
- სტუმრებისთვის გადასაცემი შემდეგი საჩუქრების შესყიდვა:

1. ჭაჭა (შატო მუხრანი) - 3 ცალი;
2. ჩურჩხელების კრებული (ხურჯინი) - 2 ცალი;

- შეხვედრის მიზნებისათვის, შეხვედრის მონაწილეთა სახელების აღმნიშვნელი ორენოვანი წარწერების (ე.წ "name tag") დაბეჭდვა, დამზადებული პროდუქციის საწყობიდან გაცემა და საქპატენტის ვაკის ოფისიდან მცხეთის ოფისში ტრანსპორტირება.
- სასამართლო კორპუსისთვის საჩუქრად გადასაცემი ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული სასამართლო გადაწყვეტილებების კრებულის (სამ წიგნად, თითოეული - 50 აგზემპლარად) დაბეჭდვა, დამზადებული პროდუქციის საწყობიდან გაცემა და იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ტრანსპორტირება.
- სტუმრების გამასპინძლების მიზნით, საგურამოში მდებარე რესტორანში „გურამიშვილის მარანი“ შესაბამისი მომსახურების შესყიდვა.

4 მაისისთვის:

- ღონისძიების მიზნებისათვის, შეხვედრის მონაწილეთა სახელების აღმნიშვნელი ორენოვანი წარწერებისა (ე.წ "name tag") და დღის წესრიგების დაბეჭდვა, დამზადებული პროდუქციის საწყობიდან გაცემა და საქპატენტის ვაკის ოფისიდან მცხეთის ოფისში ტრანსპორტირება.
- პროექტის ბანერების და ბრენდირებული პროდუქციის საქპატენტის მცხეთის და ვაკის ოფისებიდან სასტუმროში „თბილისი მერიოტი“ ტრანსპორტირება.

- სტუმრების გამასპინძლების მიზნით, ქ. თბილისში მდებარე რესტორანში „რიგი გასტროდუქანი“ შესაბამისი მომსახურების შესყიდვა.

დანართი: დღის წესრიგები.

პატივისცემით,

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“ / საერთაშორისო
ურთიერთობათა დეპარტამენტი / პროექტების
მართვის სამმართველო
მთავარი სპეციალისტი
ჯინჭარაძე ნინო